პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთების 46-ე წელი. № 219 (13304) | ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

რთველია, რთველი!

გულუხვი შემოდგომა მასპინძლობს რესპუბლიკის სოფლებში. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ვენახებში ყურძენი დამწიფდა და რთველიც გაჩაღდა. 230.000 ტონა ყურძნისათვის ბრძოლა დაიწყო! აი როგორია რთველის პირველი დღეების შედეგები:

● **სიღნაღის რაიონი.** რთველი პირველად ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში გაჩაღდა. აქ პირველ დღეებში 400 ტონა ყურძენი მოიკრიფა. ძველანაგისა და ტიბაანის კოლმეურნეობებმა ოცდაათ-ოცდაათი ტონა ყურძენი ჩაბარეს.

● **თელავის რაიონი.** ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად დიდძალი ყურძენი იკრიფება. რთველი დაიწყო აგრეთვე იყალთოსა და ჯუღაანის კოლმეურნეობებში. სულ რაიონში პირველ ორ დღეს 60 ტონაზე მეტი ყურძენი მოიკრიფა და გადამუშავდა.

● **გურჯაანის რაიონი.** გურჯაანელი მევენახეები წელს 40.000 ტონა ყურძნისათვის იბრძვიან. სახელგანთქმულ სოფელ კარდანახში რთველი დაიწყო. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ სამშობლოს უკვე მისცა 35 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.



ერთვენუჯი ბიბლიოთეკა

რთველი სიღნაღის რაიონის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. სურათზე: მოწინავე მევენახე დავითი თევზაძე. ფოტო ბ. ვახტანგაძისა.

კომუნისტის მებრძოლური თვისება

ამასწინათ „პრავდაში" დაიბეჭდა უაზანის ავტომეურნეობის კომუნისტი მძღოლების ნ. სერგიენკოსა და ა. აბდულხაევის წერილი. წერილის ავტორებმა გაილაშქრეს წამატებათა წინააღმდეგ, რომლებიც გავრცელდა საავტომობილო ტრანსპორტზე. „ეს იწვევს არა მარტო დიდ მატერიალურ ზარალს, არეკ-დარეულს სახალხო-სამეურნეო ალრიცხვაში. — წერდნენ ისინი. ჩვენი აზრით, საშიშია სხვა რამ. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს ჩვენთვის, მთელი ჩვენი წყობილებისათვის უცხო დიდი და პატარა მოტაცუების ატმოსფეროს შექმნას, რაც იწვევს მერყეევი ადამიანების მორალურ დაცემას".

პარტიის რიგითი წევრების, ავტოტრანსპორტის მუშაკების ეს ალილვებული, დამაჯერებელი გამოსვლა გამხეკალულია საზოგადოებრივი ბორტოტბისადმი მგზნებარე შეუწყნარებლობით და მხურვალე მისწრაფებით, რომ აღმოიფხვრას ეს ბორტოტბა. ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი სურვილით ნაკარნახევია კომუნისტებისა და უპარტიოების ბევრი წერილი, რომლებიც „პრავდაში" მოდის. საზოგადოებრივი შეუწყნარებლობა ნაკლოვანებებისადმი, მდგომარეობის ბორტოტად გამოყენებისადმი. მოშვებულებისა და უდისციპლინობისადმი ნათლად გამოხატება სხვადასხვა ფორმის პრინციპული, სამართლიანი კრიტიკითა და თვითკრიტიკით. მშრომელთა შენიშვნებითა და წინადადებებით.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საბჭოთა ხალხის შრომისა და გონების ნაყოფით, ჩვენი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მაგრამ პარტია მოითხოვს მთელი მეცადინეობა და ყურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ პრობლემებს. მაგალითად, არ შეიძლება არ გვაწუხებდეს ზოგიერთი სამრეწველო ნაწარმის დაბალი ხარისხი. სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ მშრომელები საყოფაცხოვრებო მომსახურების სიხტეტას. ჩვენი აპარატის ცალკეული რგოლების მუშაობას, რომლებშიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება. ისინი გადაჭრით გმობენ შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს. საზოგადოებრივი დოვლათისადმი არასწორ დამოკიდებულებას.

საბჭოთა ადამიანი, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის ყველა სიკეთით სარგებლობს, თავის სახელმწიფოში თავისუფალი და სრულუფლებიანი ბატონპატრონია. მას ეხება ყველაფერი, რითაც ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა, მშობლიური ქალაქი თუ სოფელი, შრომითი კოლექტივი, სადაც იგი მუშაობს. აი რატომ არის, რომ, როცა იგი ხარობს ჩვენი მიღწევებით, ასე გადაჭრით და მგზნებარედ ილაშქრებს ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. ვერც ერთი პატიოსანი მშრომელის, განსაკუთრებით ლენინური პარტიის წევრის შეგნება და სინდისი ვერ შეურიგდება იმას, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მორალს.

ჩვენი ცხოვრება მდიდარია ფაქტებით, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა ენერგიულად და აქტიურად იბრძვიან საბჭოთა ადამიანები, უწინარეს ყოვლისა კომუნისტები, ამ თუ იმ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ და ყოველი ღონისძიებით ცდილობენ აღმოფხვრან ისინი. დიდი ხნის მანძილზე პირველი საკისრის ქარხნის მეორე საკისრის საამქროში უმოქმედოდ იდგა მაღალი წარმადობის სახეხი ჩარხები, რაც ცუდად მოქმედებდა პროდუქციის ხარისხზე. პარტიულმა აქტივისტებმა, სახალხო კონტროლიორებმა არა მარტო ამხილეს უსაინაოთო მოპყრობა მოწყობილობისადმი, არამედ კიდევაც დაეხმარნენ მუშებს ჩარხების ათვისებაში. ამის შედეგად წუნი საამქროში სამჯერ შემცირდა... და რამდენი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, როცა მშრომელთა სიგნალებისა და კრიტიკული გამოსვლების შედეგად მხილებულ იქნა ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, მდგომარეობის ბორტოტად გამოყენება, გაუმჯობესდა მუშაობა სახელმწიფო აპარატის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ რგოლებში.

დიდსა და პატარაში ვლინდება საბჭოთა მშრომელების შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, ყოველი საზოგადოებრივი ბორტოტებისა და მისი კონკრეტული მატარებლებისადმი. „საბჭოთა ადამიანების მოვალეობაა იდგნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე, იჩენდნენ შეუწყნარებლობას ბოროტმოქმედებებისადმი და ებრძოდნენ მათ", — ნათქვამია სკკპ პროგრამაში. შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევისადმი. შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისა დ მ ი, უპატიოსნოებისადმი, კარიერიზმისადმი, ანგარებისადმი კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპებია. ეს პრინციპები მილიონობით მშრომელის ცხოვრების წესი, კომუნისტების კანონე გახდა. კომუნისტები უნდა იყოს თანმიმდევრული და შეურიგებელი მებრძოლნი საქმიანობის ყველა დარგში ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. პარტიის პოლიტიკის, ჩვენი საზოგადოებრივი მორალისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპების ყოველი დამახინჯების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება მათ ავალებს სრულად გამოიყენონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღი, გაბედულად ამხილონ ნაკლოვანებანი და მიაღწიონ მათს აღმოფხვრას, გაილაშქრონ ყოველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს. განსაკუთრებული ძალით გაისმის ეს საწესდებო მოთხოვნა ახლა, საანგარიშო-საარჩევნო კრებების პერიოდში, როცა ყოველმხრივ განვიხილავთ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, განვაზოგადებთ მათს გამოცდილებას, ვმსჯელობთ ყოველი კომუნისტის როლზე.

ПРАВДА
15 სექტემბრის ციფრებიდან

პარტიული ორგანოების ანგარიშგებამ და არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს და უეჭველია შეუწყობს ხელს კომუნისტების აქტივობის ამაღლებას, პარტიის საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის, ყოველივე იმისადმი შეუწყნარებლობის გრძნობის აღზრდას, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ეს მებრძოლური ქმედითი გრძნობა პარტიის წევრის სულიერი სახის განუყოფელი თვისებაა. იგი არ უნდა იყოს გულგრილი, თუ, მაგალითად, წარმოებას არყევს უწესივრობა და მოცდენა თუ მის გვერდით ადამიანები უგულოდ მუშაობენ, უშვებენ წუნს, თუ გინმე თვალისაბვევას ეწევა ან უკანონობასა და თვითნებობას სჩადის. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, სოფლის კომუნისტები არ უნდა ურიგდებოდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მცირე დანაკარგსაც კი. უდარდელობასა და უდისციპლინობას მოსავლის აღების დროს და ახალი მოსავლის მარცვლეულის. ბოსტნეულის, კარტოფილის გადაზიდვის დროს. პარტიის წევრის პრინციპულობა და შემთხოვნელობა ვლინდება არა მარტო წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიც — იგი არ ურიგდება ამორალურ ქცევასა და უღირს საქციელს, გადაჭრით იბრძვის ისეთი გადმონაშთების წინააღმდეგ, როგორიც არის ლოთობა და ხულიგნობა.

პარტიული დემოკრატია ყოველ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გულახდილად გამოთქვას ყველაფერი, რაც აღელვებს და აწუხებს, გამოიტანოს მტკივნეული საკითხი საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე. კომუნისტს არ შეაფერის ნაკლოვანებათა და შეცდომათა დაფარვა და მიჩქმალვა.

ჩვენთვის უცხოა იმ ობივატელთა ზნეჩვეულებანი, რომლებსაც სხვისი ჭირი არაფრად მიაჩნიათ და რომლებიც ერიდებიან შინაური ამბების გახმაურებას. მაგრამ ჩვენში კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ასე ობივატელურად მსჯელობენ. არიან მუშაკებიც, რომლებიც საკუთარი სიმშვიდისათვის ამჯობინებენ თვალი აარიდონ ნაკლოვანებებს, სანამ ამ ნაკლოვანებებზე ზემოდან არ მიუთითებენ.

არც ერთ კომუნისტს, პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანოს არც ერთ მუშაკს არ შეაფერის გულდამშვიდებული დამოკიდებულება იმისადმი, რაც მათს შეშფოთებასა და აქტიურ ჩარევას უნდა მოითხოვდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით თანამდებობის პირთა გულგრილობას, რომლებზეც დამოკიდებულია ამა თუ იმ სერიოზული ნაკლისა და შეცდომის აღმოფხვრა. მაგალითად, ცნობილია, რა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ხე-ტყის დამზადებაში მერქნის ნარჩენების განადგურება. პრესაში აღინიშნა, რომ მარტო პერმისა და კიროვის ოლქებში წელიწადში მილიონობით კუბურ მეტრ მერქანს. მაგრამ ამ ოლქებისა და რუსეთის ფედერაციის საგეგმო და სამეურნეო ორგანოების მუშაკები, როგორც ჩანს, შეეჩვევნენ ასეთ პრაქტიკას, წლების მანძილზე არ იღებენ სათანადო ზომებს ნარჩენების რაციონალური გამოყენების ორგანიზაციისათვის.

იმისათვის, რომ გადაჭრით აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი, უნარი უნდა გვქონდეს ვხედავდეთ და ვაღიარებდეთ მათ. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყოველგვარი სიძლიერის დაძლევა შეიძლება: „ოლონდ კი იყოს ნაკლოვანებათა შეგნება, რაც რევოლუციურ საქმეში ამ ნაკლოვანებათა სანახევროდ — და მეტადაც — გამოსწორებას უდრის!"

რა თქმა უნდა, ნაკლოვანებებისადმი პარტიულ შეურიგებლობას საერთო არა აქვს რა ობივატელურ ბუზღუნთან, იმ მიდრეკილებასთან, რომ ჩირქს სცხებდნენ სხვას. კომუნისტის მოვალეობაა არა მარტო იძლეოდეს ხოგალს, არა მარტო წუხდეს მუშაობაში ამა თუ იმ ნაკლისა და შეცდომის გამო, არამედ მთელი თავისი შესაძლებლობებით აქტიურად უწყობდეს ხელს მათს გამოსწორებას. ამისათვის რაზმაედეს საზოგადოებრივობის ძალებს.

წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში საერთო საქმისათვის ბრძოლაში ვაყაცდება და იწრთობა პარტიის თვითეული წევრი. ამ ბრძოლაში წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი იდეური მომწიფება მაღალი პოლიტიკური შეგნება.

ყოველი ღონისძიებით ეზრდიდეთ კომუნისტებს იმ სულისკვეთებით, რომ აქტიურად ზრუნავდნენ საზოგადოების ინტერესებისათვის, არ ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს — ნიშნავს ვამაღლებდეთ კომუნისტების პასუხისმგებლობას პარტიის საქმისათვის. რაც უფრო მაღალია პარტიის წევრის, მშრომელთა ფართო მასების აქტივობა, მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს მთელი ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობა.

მცხეთელებმა გადაწყვიტეს

მცხეთა. 15 სექტემბერი. პარტიის მცხეთის რაიონის პირველმა მდივანმა **ბ. კავთიაშვილმა** რედაქციას ტელეფონით აცნობა, რომ რაიონის მევენახეებმა დაიწყეს ყურძნის კრეფა. ამ სამუშაოს პირველი შეიდგა **მანქანათა სგამოცდო სადგურის** მევენახეობის მეურნეობა. იკრიფება პინოს ჯიშის ყურძენი. უკვე მოკრეფილი პირველი 100 ტონა გადასაშუშავებლად ჩაბარდა ღვინის ქარხნებს.

მცხეთელმა მევენახეებმა გეგმით სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ 3.820 ტონა ყურძენი. მცხეთელებმა გადაწყვიტეს გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულონ. ყურძნის კარგი მოსავალია **მეურნის** კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **შ. ავანაშვილი**). აქ გეგმით გათვალისწინებული 300 ტონის ნაცვლად. სახელმწიფოს მიაყიდეს 400 ტონა ყურძენს.

ჩვენს ქვეყანაში

სამშობლოში გამგზავრება

მოსკოვი, 15 სექტემბერი. (საკდესი). დღეს „დილით მოსკოვიდან სამშობლოში 'გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ანტონინ ნოვოტნი და სხვა ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები გაეცალეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა, ი. ვ. ანდროპოვმა და სხვა საბჭოთა ოფიციალურმა პირებმა.

გამეცილებლთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ანტონინ ნოვოტნიმ მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

მეძღვების გაძღაცემა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საიუბილეო მედლებით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წელი" დაჯილდოვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები პრეზიდენტ ა. ნოვოტნის მეთაურობით.

14 სექტემბერს კრემლში ა. ი. მიკოიანმა დაჯილდოებულთ გადასცა მედლები და გულითადად მიულოცა.

საპასუხო სიტყვაში ანტონინ ნოვოტნიმ გულთბილი მადლობა გადაიხადა ჯილდოსათვის. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა გენერალი ნე ვინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეით 15 სექტემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ბირმის კავშირის რევოლუციური საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი ნე ვინი.

ვნუკოვო-2 აეროპორტში, რომელიც ბირმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, საპატიო სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, თვალსაჩინო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი.

აეროდრომზე ჩამწკრივდა საპატიო ყარაული, შესრულდა ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. გენერალ ნე ვინის პატივსაცემად იქუხა ერთა სალუტმა. (საკდესი).

დიადი ლენინური იდეების საგანძური

საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

14 სექტემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა „დიდმნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში — ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოსვლას. აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერი მუშაკები, რომლებმაც დასაბეჭდად მოამზადეს ვლადიმერ ილიას-ის ნაწარმოებები.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა ბ. დ. ობიჩკინმა, რომელმაც ზოგადად დაახასიათა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული.

— ვლადიმერ ილიას ძის თხზულებათა სრული კრებული, — თქვა მან, — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების კეშმარიტად დიადი და უმრეტი საგანძური, სოციალიზმისა და კომუნიზმის საწყისებზე საზოგადოების ძირეული გარდაქმნის რევოლუციური მეცნიერების საგანძურია. ლენინის ნაშრომებში პასუხი აქვს გაცემული თანამედროვეობის მწვავე საკითხებს. ლენინის ნაშრომების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ღრმად შევიცნოთ მოსფლიის თანამედროვე ვითარება, ღრმად გავეცნეთ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებში. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში ცარა ათასაზე ნაწარმოები და დოკუმენტია, აქედან ნახევარზე მეტი არ შედიოდა თხზულებათა წინა გამოცემებში და უმთავრესად გამოქვეყნებული იყო ლენინის კრებულებში, ათასზე მეტი დოკუმენტი კი გამოქვეყნებულია პირველად.

შემდეგ ლენინის იმ ახალ დოკუმენტებზე, რომლებიც თხზულებათა სრულ კრებულში შევიდა, ილაპარაკა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოკტორმა ვ. ი. ზევინმა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მ. ი. პანკრატოვა შეკრებილთ ესაუბრა ლენინის მიმოწერაზე, რომელიც შევიდა თხზულებათა სრულ კრებულში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. ა. სოლოვიოვმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ლენინის ხელნაწერების ძებნა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, თქვა მან, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მიიღო 500-ზე მეტი ახალი ლენინური დოკუმენტი — ხელნაწერი, სტენოგრამა, მაგნიტოფონის ჩანაწერი ტექსტი, ტელეგრაფის ლენტა, წერილი. ზოგიერთ მათგანს ინსტიტუტი დიდი ხანია ეძებდა, სხვები კი წრით უცნობი იყო. ამ დოკუმენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩენილია სახელმწიფო-და-პარტიულ-არქივებში. (საკდესი).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

შვიდწლედი ვადამდე!

დაზოგილი ნედლეულით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ტყავ-ფეხსაცმელის კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვეში 352 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს.

კომბინატის ეკონომიური მაჩვენებლები, რომ დღითიდღე უმჯობესდება, ამაში დიდი წვლილი შეაქვთ საპრის ამპრელა და საძირის გამომკვეთი უბნების კოლექტივებს, რომელთა მეცადინეობით განვლილ აპრილიდან დაზოგილია 93.395 დეციმეტრი რბილი ტყავი, 36.551 დეციმეტრი მაგარი ტყავი და 16.220 დეციმეტრი სალანჩე რეზინი.

დაზოგილი ნედლეულით შეკერილია 5.217 წყვილი ფეხსაცმელი.

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ...

ახალი სამეურნეო წელი თავიდანვე გამართულად დაიწყო ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის კოლექტივმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატება.

ხე-ტყის დამამზადებლებმა რვა თვის საეგმო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 7 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე დაამზადეს. გამოზიდვის გეგმა შესრულებულია 4.500 კუბმეტრის გადაჭარბებით. მოღებულია 56 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

შრომაში თავი ისახელეს და რვა თვის დავალება გადაჭარბებით გაანადღეს ჭურიის, ბარხის, თორსას, ქარიატის, ლახანის და სხვა უბნების კოლექტივებმა.

შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესრულებისათვის სამეურნეო წლის დაწყებიდანვე თბილისს № 7 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი გ. ჯოლაძე, მთავარი ინჟინერი რ. ბუაძე, პარტიული ბიუროს მდივანი მ. ჯობონელიძე) ფართოდ გაეშალა სოციალისტური შეჯიბრება. მკერავები მონდომებით იბრძვიან ნაკლისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

ამ დღეებში ფაბრიკაში შეაჯამეს რვა თვის შრომითი შედეგები, მაჩვენებლები ასახავენ მკერავთა თავდადებულ შრომას. ფაბრიკაა რვა თვის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 101 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მომხმარებელმა დამატებით მიიღო მამაკაცის 3.900 პალტო, მოსწავლე ჭაბუკთა ფორმის 5.500 კოსტუმი, 3.400 შარვალი და სხვა პროდუქცია.

ᲭᲘᲐᲣᲠᲐ. (სსკ კორ.). აქაური მაღაროელები, რომლებიც უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, მტკიცედ ინარჩუნებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ჭიათურელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. მათ ერთი კვირით ადრე შეასრულეს მარგანეცის სასაკონლო პროდუქციის დამზადების რვა თვის დავალება და სექტემბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

მაღაროელები იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის სექტემბერში შესრულებისათვის.

რესპუბლიკის საწარმოებში

თიანური პარკეტი

თიანეთის სატყეო მეურნეობის პარკეტის ქარხანა, რომელიც პროდუქციას აწვდის თბილისის მშენებლობებს, დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მუშებით. აქედან უმრავლესობა საშუალო განათლებისაა. ზოგი კი საღამოს სკოლაში სწავლობს.

• • •

სურათზე: ქარხნის მუშა ვ. ხახიაშვილი, რომელიც მუშაობას კარგად უთავსებს სწავლას. იგი ყოველდღიურად 25-30 კვადრატული მეტრით მეტ პარკეტს ამზადებს, ვიდრე ეს ნორმით არის გათვალისწინებული.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

სამშობლოში დაბრუნება

პრაღა, 15 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან პრაღაში დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

დელი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ გუშინ პრესისათვის გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ინდოეთის ჯარები ყველაზე აგრესიულად ეგერეგებენ მოწინააღმდეგეს იერიშებს სიალკოტის მიმართულებით. პაკისტანის ჯარებს „დიდი ზარალი" მოუდით.

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგეგეტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, იქ გამოაცხადეს, რომ ინდოეთის კონტრშეტევის დროს სიალკოტის რაიონში გაახადგერეს მოწინააღმდეგის 98 ტანკი და 15 თვითმფრინავი.

ლონდონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). რეიტერის ს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერელმა ოკუპანტებმა დროებით დაიპყრეს ინგლისის ჯერსის კუნძული, რომელიც საფრანგეთის დაცავლეთ სანაპიროსთან მდებარეობს, და იქ შექმნეს საკონცენტრაციო ბანაკები საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეებისათვის. კუნძულზე მცხოვრებ ინგლისელთა ჯგუფი საკვდილის საფრთხეს არ მოერიდა და რამდენიმე წლის მანძილზე ეხმარებოდა საბჭოთა ადამიანებს გაქცეულიყვნენ ფაშისტური ტყვეობიდან და ბევრს სიცოცხლე შეუნარჩუნა. სულ ცოტა ხნის წინათ დაწერილებით გახდა ცნობილ ინგლისელ მოქალაქეთა გმირული საქმიანობა. ბევრი მათგანი გერმანელმა ფაშისტებმა დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს, ერთ-ერთი კი — ლუიზა გულდა გესტაპოს კამერაში დაიღუპა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ სთხოვეს დიდი ბრიტანეთის მთავრობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა გადაეხადათ ინგლისის ქვეშევრდომთათვის იმ მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს საბჭოთა მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა გადარჩენის დროს ჯერსის კუნძულზე და დახმარებისათვის მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლივი ბრძოლის პერიოდში.

ესენი არიან:

1. ჰაროლდ ლე ბრიუელენეი.
2. ნორმან ლე ბროკი.
3. ლესლი ჰიუელენი.
4. ავგუსტა მეტკაფი.
5. რენე ლე მოტი.
6. ოსვალდ პალო.
7. ლეონარდ პერკინსი.
8. ვილიამ სარი.
9. რობერტ ლე სტერი.
10. აივი ფორსტერი.
11. ალბერტ ბიდენი.
12. კლავდია დიმიტრიევა.
13. მაიკ ლე კორნიუ.
14. რენე ფრანი.
15. ფრანსის ჰემონი.
16. ჯონ ლე ბრეტონი.
17. როიტონ ჰარეტი.
18. ფრანსის ლე სუერი.

აგრეთვე განსაკუთრებული ლუიზა გულდისა და რობერტ მაკინტირის ნათესავები.

დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩომ აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა ინგლისელ ქვეშევრდომებს ჯერსის კუნძულზე საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ვაჭრობის პერსპექტივები

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივებია, — აღნიშნა ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ედვარდ რედკლიფმა, რომელიც მოსკოვიდან ლონდონს დაბრუნდა. იგი დაესწრო საერთაშორისო გამოფენის გახსნას — „ქიმია მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში".

მინისტრმა თქვა, რომ იყო ინგლისის პავილიონში გამოფენაზე და აღნიშნა: „დიდი შეკვეთების შესახებ ლაპარაკი ჯერ კიდევ ძალზე ადრეა, მაგრამ პავილიონისადმი დიდ ინტერესს იჩენენ როგორც ტექნიკური სპეციალისტები, იმე ჩვეულებრივი დამთვალიერებლები". მაგრამ, ხაზი გაუსვა მან, ვაჭრობაში წარმატებების მოსაპოვებ ლ ად „ინგლისელმა მეწარმეებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ მათ საქონელს კონკურენციის გაწევის უფარი ქონდეს".

საერთაშორისო საავიაციო

მიუნხენი, 14 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება: დღეს მიუნხენში გაიხსნა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის 58-ე გენერალური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 35 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, ალბანეთის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენლები. კონფერენციის ეს წერება 200-ზე მეტი დელეგატი. ესენი არიან ცნობილი მფრინავები, პარაშუტისტები, პლანერისტები, რეკორდსმენები, ჰაერნავსნობის პიონერები. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს ცნობილი საბჭოთა მფრინავი-გამომცდელი, საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კ. კოკინაკი. დელეგაციის შემადგენლობაში არის საბჭოთა კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. მ. კომაროვი, საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „ვოსხოდ-1"-ის გმირული ფრენის მონაწილე.

კონფერენციის საზეიმო გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა ხენეკამმა. მან ილაპარაკა ფედერაციის მუშაობაზე, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 60 ეროვნულს.

შემდეგ გაიმართა საპატიო ჯილდოების გადაცემა. ვ. მ. კომაროვმა და ვ. კ. კოკინაკმა მიიღეს საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის უმაღლესი ჯილდოები— ოქროს medal. საერთაშორისო საავიაციო ფედერაცია ამ ჯილდოებს ანიჭებს დიდი წვლილისათვის საჰაერო და კოსმოსური ფრენის, აგრეთვე საავიაციო სპორტის განვითარებაში. ვ. მ. კომაროვს გადაეცა აგრეთვე medal სიმაღლესა და მსის აბოლუტური რეკორდებისათვის, რომლებიც დამყარდა კოსმოსური ხომალდის „ვოსხოდ-1"-ის ფრენის დროს.

ვ. მ. კომაროვმა ოქროს medal მიიღო აგრეთვე თავისი „კოსმოსური ძმებისათვის" — კონსტანტინე ფეოკტისტოვისა და ბორის ეგოროვისათვის.

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ლონდონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). წუხელ საგონის ჩრდილოეთით გაიმართა გააფთრებული ბრძოლა. ამას იუწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქიდან. სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის დიდმა ქვედანაყოფმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინა და იერიში მიიტანა საგონის ჯარების პოზიციებზე ქალაქ კაუ-დინის მახლობლად. მარიონეტულმა ჯარებმა, რომლებსაც დიდი ზარალი მოსდით, გამოიძახეს ამერიკის ავიაცია. ამერიკის „B-52" ტიპის ბომბდამშენებმა ასობით ბომბი დაუშინეს განთავისუფლების არმიის მებრძოლთა პოზიციებს.

ჰანოი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ გუშინ ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას გაუგზავნა საპროტესტო წერილი იმის წინააღმდეგ, რომ ამას წინათ სამხრეთ ვიეტნამში გადასხეს ამერიკის პირველი მობილური დივიზია. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

მარტო ამ უკანასკნელი თვენახევრის განმავლობაში, აღნიშნულია წერილში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნეს დაახლოებით 50.000 ჯარისკაცი და თითქმის 130 ათასამდე გაადიდეს ამერიკის ჯარების რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში.

ამერიკის ჯარები, ხაზგასმულია წერილში, აქტიურად მონაწილეობენ დამსჯელ ოპერაციებში სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტის გემები. „B-52" ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენები ცეცხლს უშენენ და ბომბავენ სამხრეთ ვიეტნამის დასახლებულ რაიონებს. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარი იყენებს მომწამვლელ ნივთიერებებს.

კავშირის მისია სთხოვს საერთაშორისო კომისიას გაანახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ პირველი მობილური დივიზია, შეწყვიტონ აგრესიული ომი ამ რაიონში, შეწყვიტონ საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, გაიყვანონ მთელი თავიანთი ჯარები და თავიანთი მარიონეტების ჯარები, გაიტანონ მთელი იარაღი და სხვა სამომარი მასალები სამხრეთ-ვიეტნამიდან და პატივი სცენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს ვიეტნამის შესახებ.

საპროტესტო წერილი

იმპერიალისტები ძველთაგანვე იყენებენ მათრახისა და ნაზუქის პოლიტიკას. მაგრამ მსოფლიოს არ ახსოვს ფარისევლობის ისეთი მწვერვალები, როგორსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში მიაღწიეს. ამ დღეებში ამერიკის სააგენტოებმა გავრცელეს ფოტოსურათი: საიგონში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის პენრი კებოტ ლოჯის ცოლი ბავშვებს საელჩოსთან კამფეტებს ურიგებს (ფოტო მარცხნივ). ელჩის რეზიდენციიდან სულ რამდენიმე ათეულ მეტრზე კი სამხედროფორმიანი ამერიკელები ავაზაკობასა და ძალადობას სჩადიან, სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ ვიეტნამის მშვიდობიან-სოფლებისათვის. ისინი არ არიან ენ, ვინ არის მათ წინა: ბავშვები, მოხუცები თუ ქალები. დახედეთ მარჯვენა სურათს: ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები მზად არიან გაუსწორდნენ ვიეტნამელ მოზარდს. აი ამერიკელ ვანდალთა ნამდვილი სახე, რომელსაც ვერავითარი ინსცენირება და გროშიანი კამფეტები ვერ დაფარავს.

„ნიუსტრა პალაბრა" იუწყება

გუშინს-აირსი, 15 სექტემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. როგორც გაზეთი „ნიუსტრა პალაბრა" იუწყება, პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს პარტიის საქმიანობა ამა. წლის 27 მარტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდგომ პერიოდში.

პლენუმის გადაწყვეტილებანი მოუწოდებენ ხალხს იბრძოლოს სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ, გაშალოს მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ

ვიეტნამში, დომინიკის რესპუბლიკაში, კუბის მიმართ პროვოკაციების წინააღმდეგ. არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ხალხს იბრძოლოს ლათინურ ამერიკაში სარევოლუციო-პოლიტიკური აგრესიული ძალების შექმნის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ.

არგენტინის კომუნისტებმა მშრომელებსა და ხალხს მოუწოდეს განამტკიცონ ერთობა, საფუძონ შინაგანი რეაქციის შემქმედრივი გეგმები, იბრძოლონ დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად, პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის, დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის.

ნორვეგიელ სოციალ-დემოკრატთა დამარცხება

ოსლო, 14 სექტემბერი. (საკდესი). პარლამენტის ორ დღის არჩევნების შედეგად ნორვეგიის ბურჟუაზიული პარტიების კოალიციამ მანდატების უმრავლესობა მიიღო სტორტინგში.

საკდესის კომენტატორი ვ. ვავილოვი გვაცნობინებს:

ნორვეგიის ბურჟუაზია გამარჯვებას ზეიმობს. ოთხი ბურჟუაზიული პარტიის გაერთიანებული მეკადინეობა წარმატებით დამთავრდა: ბურჟუაზიულმა პარტიებმა მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს ნორვეგიის პარლამენტში — სტორტინგში. კენჭისყრის შედეგები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის შეჯამებული, მაგრამ არსებული მონაცემებით, რომლებიც არა გვგონია შეცდომა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ბურჟუაზიული პარტიების ბლოკს სტორტინგში 80 მანდატი ექნება, 150 მანდატიდან. წინა სტორტინგის შემადგენლობაში ბურჟუაზიულ პარტიებს 74 ადგილი ჰქონდა.

ექვსი მანდატი დაკარგა ნორვეგიის მუშათა პარტიამ, ახალ სტორტინგში მას ახლოდან 68 ადგილი ექნება. თავისი პოზიციები შეინარჩუნა სოციალისტურმა სახალხო პარტიამ, იგივე როგორც წინა სტორტინგში. სოციალისტურ სახალხო პარტიას ჰყავს ორი წარმომადგენელი. კომუნისტებმა, ისევე როგორც წინა არჩევნებში, ვერ მოახერხეს სტორტინგში გაეცვალათ თავიანთი წარმომადგენელი.

ნორვეგიის მუშათა პარტიის დამარცხებასთან დაკავშირებით გერჰარდსენის ძალაუფლება ეფუძნებოდა ენერ გერჰარდსენის ბრძანეულ-მენშიკოვი ენერ გერჰარდსენმა ეს უკვე განაცხადა რადიოთი. „ახლანდელი მდგომარეობა, — განაცხადა მან, — გადადგება, როგორც კი გაიხსნება ახალი სტორტინგის პირველი სესია". კონსტიტუციის თანახმად ახალი სტორტინგის სესია გაიხსნება მომდინარე წლის პირველ ოქტომბერს.

არჩევნებში ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა ენსტრეს პარტიამ — წვრილი ლიბერალური ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის პარტიამ. მან ოთხი დამატებითი მანდატი მიიღო და ამჟამად სტორტინგში 18 ადგილი. ამ პარტიამ მოიპოვა მუშათა კლასის ნაწილი.

როგორც ჩანს არჩევნებმა ნორვეგიის მუშათა პარტიის დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო ნატოსთან ნორვეგიის თანამშრომლობის პოლიტიკის არაპოპულარობა, რომელსაც ეს პარტია ახორციელებს. ნორვეგიის მუშათა პარტიის მთავრობამ ნატომი ნორვეგიის შესვლის გადაწყვეტილება მიიღო 1949 წელს და დღემდე პარტია ერთგულია ნატოსი. ვერც ახლა, ვერც მომავალში ნორვეგიელ ელექტორებს ვერ ეტყვიან ნატომი მონაწილეობაზე, გაანაგებდა ნორვეგიის მუშათა პარტიის უკანასკნელ წინასაარჩევნო ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარემ ტრიუგვე ბრატელიმ.

ნორვეგიის მუშათა კლასის გათიშვა, უეჭველია, იყო აგრეთვე ბურჟუაზიის გამარჯვების მიზეზი. კომუნისტური პარტიის არაერთი წინადადების მიუხედავად, რომ სოციალისტებსა და კომუნისტებს შეექმნათ ერთიანი საარჩევნო ბლოკი და გაელაშქრათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ნორვეგიის მუშათა პარტიისა და სოციალისტური სახალხო პარტიის ლიდერებმა უარი თქვეს თანამშრომლობაზე, და ეს სამი პარტია ცალ-ცალკე მოქმედებდა არჩევნებში, ერთმანეთს ერთმანეთი ამმარჩეველთა ხმებს.

აკრა—მუდმივი სამყოფელი

აკრა, 14 სექტემბერი. (საკდესი). განის დედაქალაქი იქნება სრულიად აფრიკის ინფორმაციის საშუალებათა კოორდინაციის კომიტეტის მუდმივი სამდივნოს ადგილსამყოფელი. ასეთია ამ კომიტეტის მეორე სესიის, რომელიც გუშინ დამთავრდა, ერთ-ერთი გადაწყვეტილება. მუდმივი სამდივნოს გენერალურ მდივნად არჩეულია სრულიად აფრიკის ჟურნალისტთა ასოციაციის წარმომადგენელი კოფი ბატსა (განა).

კასაბლანკას თათბირგზე

კასაბლანკა, 14 სექტემბერი. (საკდესი). მეორე დღეა მუშაობას განაგრძობს არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირი კასაბლანკაში. დღეს, ისევე როგორც გუშინ, არაბთა ლიდერების სხდომა, რომელზეც იქ შეიარაღნენ არაბული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო პრობლემების განხილვისათვის, დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა.

როგორც პრესა იუწყება, გუშინდელ პირველ სხდომაზე არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი. გაეცნენ საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს, რომელიც კასაბლანკაში გაიმართა ამ თათბირის გახსნის წინ. სიტყვები წარმოთქვეს მაროკოს მეფემ ჰასან II და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა.

ჯ. ბერნალის ავადმყოფობა

ლონდონი, 15 სექტემბერი. (საკდესი). ცნობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე პროფესორი ჯ. ბერნალი მოათავსეს პენზანსის საავადმყოფოში (კორნუოლის საგრაფო). როგორც პრეს ასოციენშნის საგენტო იუწყება, ორშაბათს, 13 სექტემბერს კორნუოლში დასასვენებლად მყოფ ჯ. ბერნალს ჯანმრთელობა გაუუარესდა.

პენტაგონი ეძალება ზრდის [illegible]

[illegible] ვ. ვიეტნამელ[illegible] [illegible] ... ... [illegible] ... ... [illegible] ... ...

ახალი შევსება

რეპორტაჟი გასაწვევი პუნქტიდან

ბლაც, როგორც ყოველ წლის სექტემბერში, დაიწყო სამხედრო ასაკოვანთა ინვენტარიზაცია. ბევრ ახალგაზრდას ადრევე ეოცნებია კამხდარიყო მეორე ტანკერი, ტანკისტი, ფეიერვერკი, არტილერისტი, მეკავშირე, მზვერავი, და აი ახლა მათი ოცნება: მათ წინაშე გადაშლილია არძანისა და ფლოტის ერთიანან ოკეანში მრისხანე და დაძაბული საბრძოლო სამსახურის პეროიული გზა.

ჩვენ ვიმეორებთ თბილისის ორკონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატში, ვასაწვევი პუნქტის შენობასთან და ოთახებში ხალხის სიმრავლეა. აქ არიან ერთი თაობის ჩამოტანები — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მეზნეპარე პატრიოტები. მათი ინარალისობა კომკავშირელია. ყველა მათგანმა იცის, რომ სოციალისტური სამშობლოს დაცვა წმიდათაწმიდა მოვალეობაა და თავთავიანი ბეჭდარი პასუხისმგებელია სამშობლოს ბედისათვის. ყველას ღიმილი დასთამაშებს სახეზე. ირგვლივ ისმის ერთიანული და ხალისიანი საუბარი.

საუცხოოდ არის გაფორმებული გასაწვევი პუნქტი. ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტები იპყრობენ ყ ბოსტოთა ყურადღებას. ეგზეპუნქტში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული „სამხედრო ფიცის“ ტექსტი, საბჭოთა ავიაშორის ბრძოლების და ორკონიკიძის რაიონიდან გაწვეულ მოწინააღმ მეომართა პორტრეტები.

ეი ერთი მათგანი — შალვა ედიშერაშვილი. იგი ახლა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცია. ამ დღეებში ახალგაზრდა ჯარისკაცის მშობლებმა ნაწილის მეთაურის შემდეგი წერილი მიიღეს:

..... მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი შვილი ედიშერაშვილი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ამ ხნის განმავლობაში მან შესანიშნავად შეისწავლა სამხედრო ხელობა. იგი გახდა სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, სამხედრო საქმის ოსტატი. ჩვენი ნაწილის სიამაყე.

იყო ახალი ომის საშინელებისაგან შეშინებული სამშობლოს, მთელი კაცობრიობის დამცველი, იდგი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის სადარაჯოზე — ეს მეტად სპეციალური და პასუხსაგები ამოცანაა. ამ ამოცანას თქვენი შვილი შალვა, სხვა მეომრებთან ერთად, ღირსეულად და კეთილსინდისიერად ასრულებს.

გვიდლობთ ასეთი შვილის გაზრდისათვის“.

ეგზეპუნქტში საკვალიფიკაციო ოთახი განკუთვნილია წვევამდელებთან საუბრებისა და გართობისათვის. აქ ერთმანეთს ეგებრებიან წვევამდელები ჭაღრაკში, შაშში. ზოგნი კი დიდი სამამულო ომის გმირების პორტრეტების სტენდთან მოგროგლან და გაცხოველებით ლაპარაკობენ.

— ვიაკაციებიც ასეთნი არიან! — ჩაილაპარაკა რომელიღაც ახალწვეულმა.

— ჩვენც ვიქნებით ვიაკაციები, — შეეხმიანა მეორე.

— ახლა ხომ ომი არ არის?

— არც გვინდა ომი. გმირობის მოპოვება მშვიდობიან წლებშიც შეიძლება.

— პო, შეიძლება, მაგ! — შეეპასუხა ირონიული ღიმილით ნასაკირი ახალწვეული, — სასწავლო ტყვიებით ან ყუმბარებით რამდენსაც უფრო მეტ ფარს დაგაზიანებ, „ოქროს ფარსკლავს“ ჩამოგიფენენ არა?!

ახალწვეულებმა გადაიხარხარეს.

ამ ლაპარაკში მათ მიეახლოდა ავადმყოფობის ფურცელი ხელში ერთ-ერთი ახალგაზრდა, ფეხებ-ფეხებ-ფეხებ-

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები •



მეგობრეგის გასტროლეგი

მგკაიცე მეგობრობა აკავშირებთ ხერსონის ოლქისა და ქალაქ ბათუმის მშრომელებს, რომლებიც რამდენნიმე წელია სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი და წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

აკარელი და უკრაინელი მეგობრები ერთმანეთის ხშირი სტუმრები არიან, ეცნობიან წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მიღწევებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას.

ტრადიციას მეგობრებმა არც წელს უღალატეს. ამას წინათ ბათუმში საგასტროლოდ იმყოფებოდა ხერსონის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრი.

ამჟამად კი ხერსონში საგასტროლოდ გაემგზავრა აკარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი. (მთავარი დირიჟორი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ჩხეიძეშვილი, მთავარი ქორეოგრაფი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე).

ანსამბლის კოლექტივი ხერსონში 40 დღეს დაჰყოფს და შეგობრობის კონცერტებს გამართავს ოლქის ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში.

შ. ბახარაძე.

ქლუბი რელსებზე

ამ დღეებში სადგურ ლიხს ეწვია რკინიგზის თბილისის განყოფილების რაიაროფკავშირის ვაგონ-კლუბი. რკინიგზელებთან ერთად აქ მოვიდნენ სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლები. ისინი კითხულობდნენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, გაერთნენ ჭადრაკით, შაშით, მოისმინეს საბჭოთა და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორმა ვ. მახათაძემ წაიკითხა ლექცია — სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

დამსწრეთ მოეწონათ ხაშურის კულტურის სასახლის ვოკალური ანსამბლის კონცერტი, დიდი ინტერესით ნახეს დოკუმენტური კინოფილმები.

დ. ფარემუზოვი.

კოლმეურნეთა თაობნობა

ბოსლეეი საკმაოდ მოზრდილი სოფელია ზესტაფონის რაიონში. სოფლის ცენტრში სხვადასხვა საწარმოო ობიექტია და დაწესებულებაა მოთავსებული. მაგრამ კოლმეურნეებს დღემდე როდი ჰქონდათ აქ მისასვლელი საურმე გზა. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ო. ტაბატაძე). კოლმეურნეთა აქტიური დახმარებით რამდენიმე კოლმეურნის მანძილზე უკვე გაიყვანეს ახალი სამანქანო გზა.

ალ. კაპანაძე.

კონცერტები ველად

ცხაკაიას კულტურის სახლის აგიტბრიგადა ფართო ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას მსახიობი ნორა დადიანი, დაკომპლექტებულია ახალგაზრდა მსახიობებით. ბრიგადა მომსახურებას უწევს არა მარტო ცხაკაიის რაიონის მშრომელებს, არამედ წალენჯიხის, გეგეჭკორის, აბაშის, ხობისა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეებსაც. ბრიგადამ საველე კონცერტები გამართა გეგეჭკორის ჩაის მეურნეობაში, უშფოთში, ფოცხოში, ბეთლემში და სხვა კოლმეურნეობებში.

ა. ჩარკვიანი.

ქართველ მეცნიერთა სტუმრები

— საბჭოთა კავშირი ყოველნაირად ცდილობს განავითაროს თავისი მეცნიერება, — განაცხადა თბილისში ჩამოსულის შემდეგ იაპონიის სამეცნიერო საბჭოს პრეზიდენტმა, პროფესორმა სინიტირო ტომონაგამ.

იაპონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსი-ფიზიკოსი პროფესორი ტომონაგა მეთაურობს იაპონელ მეცნიერთა დელეგაციას. იაპონელი სტუმრები უკვე გაეცნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის სამეცნიერო ცენტრებსა და ღირსშესანიშნაობებს.

საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა სინიტირო ტომონაგას გაეზიარებინა იაპონიის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა, აგრეთვე გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

— იაპონიის სამეცნიერო საბჭო, — თქვა პროფესორმა ტომონაგამ, ეროვნული აკადემიისაგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორც საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მთავრობისათვის ამუშავებს წინადადებებს მეცნიერ-ტექნიკური პოლიტიკის საკითხებზე. საბჭოში შეკრებილია იაპონიის თვალსაჩინო მეცნიერები. მის შემადგენლობაშია 210 წევრი, რომლებსაც ირჩევენ 100 ათასზე მეტი მეცნიერი.

— გვახარებს, — თქვა შემდეგ სინიტირო ტომონაგამ, — რომ კონტაქტები დავამყარეთ საბჭოთა და კერძოდ, ქართველ მეცნიერებთან. ჩვენ ბევრი საერთო მეცნიერული პრობლემა გვაქვს, რომელთა ნაყოფიერი გადაწყვეტა ერთად შეგვიძლია.

14 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში მიიღეს იაპონელი კოლეგები. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ნ. მუსხელიშვილი გულთბილად მიეგება სტუმრებს. მან ილაპარაკა ქართული მეცნიერების განვითარებაზე, ქართველ მეცნიერთა შემოქმედებით ურთიერთობაზე იაპონიის მეცნიერების მოღვაწეებთან.

— საქართველოს ჯერ საკმაოდ არ ვიცნობთ, — აღნიშნეს სტუმრებმა, — მაგრამ უკვე გაგიცანით მის შესანიშნავ ხელოვნებას. ჩვენ ვნახეთ საქართველოს ცეკვის ანსამბლის გამოსვლები მოსკოვში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლები ლენინგრადში. ახლა უნდა გავეცნოთ ქართულ მეცნიერებას.

იაპონელმა მეცნიერებმა გამოთქვეს სურვილი ეწვიონ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელ რიგ საკვლევ დაწესებულებებს, კერძოდ, ატომურ რეაქტორს, ფიზიკის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და სხვა ინსტიტუტებს.

იაპონიის დელეგაციის წევრებმა თქვეს, რაც უკვე ვნახეთ, მოწმობს, რომ ქართველ ხალხს უძველესი კულტურა ჰქონია. იაპონელი მეცნიერები იყვნენ მცხეთაში, დაათვალიერეს არქიტექტურის ძეგლები.

იაპონიის მეცნიერების მოღვაწენი ჩვენს რესპუბლიკაში სამ დღეს დარჩებიან.

(საქდესი).

„საქართველოს ავიტატორი“ № 17

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალის **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეჩვიდმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — პარტიული ხელმძღვანელობა აგიტატორებისადმი; **შ. ზუმბაძე** — პარტორგანიზაცია და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა; **დ. ოდიკაძე** — თვალსაჩინო აგიტაცია ერთ ქარხანაში; **ვ. ბარამზიშვილი** — აღმოვფხვრათ წარსულის ვადმონაშთები ადამიანის შეგნებაში; **ი. თულაშვილი** — წიგნი კუთხე, როგორ უნდა მუშაობდეს იგი?; **შ. გულუა** — შრომის დიდების ოთახი; **ზ. კეთილაძე** — ეძიებენ, პოულობენ; სოციალისტური შეჯიბრება და აგიტატორები; **ვ. თევზაძე** — მეტრომშენებელი; **ლათინური ამერიკის ქვეყნები; სიტყვის განმარტება.**

,,ეროვნული ბიბლიოთეკა“

სპორტული ქრონიკა

● **პოდოლსკში** გამოვლინდა მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტები. ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ესენი არიან — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, რუმინეთის, პოლონეთისა და ჩდრ-ს გუნდები.

● **დადგინდა**, რომ მსოფლიოს პირველობის მატჩი ასუჯრედიან შაშში ბორბოლევსკსა და ბუბენრაინს შორის დაიწყება თბილისში 30 სექტემბრიდან.

საკავშირო ხელოვნების გუნჯაკელებს

გუნჯაკანის ხორცკომბინატის მუშაკთა კოლექტივმა მეორე კვარტალს საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

გუნჯაკელებმა დამსახურებულად ვაიმარჯვეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა შორის გამართულ შეჯიბრებაში, რის გამო მათ მიეკუთვნათ პირველი ადგილი და გადაეცათ კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და ხორცისა და რძის მრეწველობის მთავარი სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა.

ს. შაქარაშვილი.

მოკლედ

ზუგდიდში მცხოვრებმა მიხეილ ალექსანდრეს-ძე ერობალიამ ამას წინათ ზუგდიდს ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს ფულისა და ნივთების 1965 წლის მერვე გამოვლების ლატარიის ბილეთი (სერია 17752 № 306), რომელსაც მოგებად ხვდა „პიანინო“.

ბ. ალშიბაია.

ოჩამჩირის კულტურის სახლში გაიმართა ოჩამჩირისა და გალის რაიონების სახალხოხარაზმელების კრება. მოწინავე რაზმელები დაჯილდოებულ იქნენ ფასიანი საჩუქრებით. მაჯის საათი მიიღო სახალხოხარაზმელმა, კოლმეურნეობა „ინდიის“ მეჩაიემ, ოფიზიანის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა იონა კეტმა.

ვ. ბოჯუა.

სოსო იორამაშვილი

მაკიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი სოსო იორამაშვილი.

სოსო (იოსებ) მაქსიმეს-ძე იორამაშვილი დაიბადა 1904 წლის 31 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ დირბში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1923 წელს თბილისში ჩამოვიდა და ტრამვაის თბილელექტროსადგურში ნახშირის გადამზიდავ მუშად დაიწყო მუშაობა. შემდეგ არმიაში გაიწვიეს, სიდანაც 1928 წელს დაბრუნდა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

წლების მანძილზე ს. იორამაშვილი მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებსა და გამომცემლობაში.

ს. იორამაშვილი სამამულო ომის მონაწილეა. იყო ჯერ ოცეულის, ხოლო შემდეგ ასეულის მეთაური. არმიიდან 1946 წელს დაბრუნდა და შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

მწერალმა ბევრი საინტერესო მოთხრობა გამოაქვეყნა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში. 1954 წელს ეს მოთხრობები ცალკე წიგნად დაიბეჭდა სათაურით „ვერხვის ჯალაში“. ამას მოჰყვა სხვა საბავშვო წიგნები — „კარავი მტკვრის პირას“, „ბაბა ელიაური“ და სხვ. ს. იორამაშვილი ხალხურ ენას დაუფლებული კარგი მოქართულე იყო. მის ნაწარმოებებში ყურადღებას იქცევს ლაღი და ბუნებრივი თხრობა, ცოცხალი, საინტერესო სიუჟეტი. სადა და ადვილი სტილი.

ს. იორამაშვილი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. [illegible] „ეროვნული ბიბლიოთეკა“ [illegible] „ეროვნული ბიბლიოთეკა“, 1962 წ. „ეროვნული შეხვედრა“, 1962 წ., „ოქროს კაკაბი“, 1964 წ.), 1962 წელს ს. იორამაშვილის მოთხრობა „ბალეტი“ წიგნად დაიბეჭდა რუსულ ენაზე. სულ ახლახან წიგნის მაღაზიების ვიტრინებში გამოჩნდა მწერლის ახალი წიგნი „მოთხრობები“. მწერალს დაუმთავრებელი დარჩა ვრცელი მოთხრობა „გალმა ვეფახი“.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ს. იორამაშვილის მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც ნათლად იგრძნობოდა მწერლის მახვილი თვალი, ჩვენი სოფლისა და ბუნების საუკეთესო ცოდნა.

მართალი და მოკრძალებული ადამიანი, მოსიყვარულე და ერთგული მეგობარი — ასე იცნობდნენ ს. იორამაშვილს მახლობლები და ამხანაგები.

სოსო იორამაშვილმა გვიან აიღო ხელში კალამი, რომელიც ასე ნაადრევად დაადებინეს სკვნილმა. მაგრამ მან მაინც მოასწრო ეთქვა ის, რითაც მუდამ ცოცხალი დარჩება მისი მეგობრების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.



მეგობართა ასპარეზობა

ტანვარჯიშში საერთაშორისო შეჯიბრება სოციალისტური ქვეყნების ამ სპორტული ორგანიზაციებისა, საზოგადოება „დინამოს“ რომ ეწათესავებიან, მეექვსეჯერ ეწყობა. შეჯიბრების მეექვსედ მოწყობის პატივი ხვდა საქართველოს რესპუბლიკურ ორგანიზაცია „დინამოს“ და, უნდა ითქვას, რომ ამ საკმაოდ ძნელ საქმეს საქართველოს დინამოელებმა საუცხოოდ გაართვეს თავი.

უკვე დამთავრდა ვაჟთა შორის შეჯიბრება მრავალჭიდში. საზოგადოება „დინამოს“ ტანმოვარჯიშეებმა ცხადყვეს მნიშვნელოვანი უპირატესობა და 15-ზე მეტი ქულით გაუსწრეს პოლონეთის გუნდს, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა უნგრეთის გუნდი. შემდეგი ადგილები დაიკავეს ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებმა. პირველი შვიდი ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებმა. საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა მოსკოველმა ტანმოვარჯიშემ მიხეილ ვორონინმა, რომელმაც 58,1 ქულა მოაგროვა. ეს თითქმის 2,7 ქულაა თვითეულ იარაღზე. მას 0,6 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის მონაწილე იური ცაპენკო (რსფსრ). ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ახალგაზრდა მოსკოველმა ტანმოვარჯიშემ ვლადიმერ სოშინმა (დაბადებული 1947 წელს) 56.95 ქულით.

საქართველოს „დინამოს“ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნოდარ მაკალათიამ მეექვსე ადგილი დაიკავა, მაგრამ თავისუფალ ვარჯიშში უჩვენა ყველაზე მაღალი შედეგი — 9,7 ქულა. დღეს ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობათა ფინალში მას საუკეთესო შანსები აქვს მოიპოვოს ჩემპიონის წოდება ამ სახეობის შეჯიბრებაში. სამ სახეობაში ყველაზე მაღალი შეფასება აქვს მ. ვოროინს და ორ სახეობაში — ი. ცაპენკოს. ფინალისტთა რიცხვში შევიდნენ ბულგარელები — ნიკოლა პროდანოვი, ცენკო ცენკოვი და პოლონელი ალექსანდრე როკოსა.

გუშინდელმა დილის შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ქალთა გუნდებს შორისაც უძლიერესი სსრ კავშირის ქალთა გუნდია. დგირზე ვარჯიშსა და ბჯენით ხტომაში მათ გაუსწრეს თავიანთ მეტოქეებს. მოდევნო ადგილები დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეებმა. მაგრამ საბოლოო შედეგი მხოლოდ გვიან გაირკვევა. ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი აქვთ ზინა დრუჟინინას (რსფსრ) და ალექსანდრა ჯანუკაშვილს (საქართველო).

* * *

პირად პიეტრობაში წარმატება ზ. დრუჟინინას ხვდა (39.05 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. კონდოვა, მესამეზე — ბ. ჯანუკაშვილი.

საერთო ჩათვლაში უძლიერესი იყო სსრ კავშირის „დინამოს“ გუნდი — 229,4 ქულა. დღეს გამოვლინდება უძლიერესი ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშში.

ვ. საპოუნიკოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშე ი. კოშტალოვა დგირზე ვარჯიშის დროს.
ფოტო გ. კოკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

პირველი პრიზი გაიყვეს

სოფი, 15 სექტემბერი. (საკდესი). გოსმანისტერმა ვ. **ფენციერმა** (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გადადებული ფინალური პარტია მოიგო ვლადივოსტოკელ ოსტატ ა. **ზაიცევს** და დაეწია ჩიკორინის მემორიალის ლიდერს **ბ. სპასკის**. ტურნირის გამარჯვებულებმა 10,5-10,5 ქულა მოგროვეს თხუთმეტ შესაძლებელში და შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს.

მესამე პრიზი წილად ხვდა ახალგაზრდა იუგოსლავ მოჭადრაკეს **დ. ჩირიჩს** — 10 ქულა. მან ტურნირი ოსტატად დაიწყო და გროსმაისტერად დაამთავრა. მეოთხე ადგილი დაიკავა სპორტიველმა **ნ. კროგიუსმა** — 8,5 ქულა. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილები გაიყვეს ვლადივოსტოკელმა ა. **ზაიცევმა**, სვერდლოვაკელ მა **გ. ილივიცკიმ** და ქაღალაქის ვეტერანმა მოსკოველმა **ს. ფლორმა**. **ზაიცევმა**, საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

გამარჯვებულება გადაეცათ რუსეთის სუფსს სასპორტო „საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრიზები.

,,ეს საინტერესოა!“

რამოდენაა ანტარქტიდა

ანტარქტიდის ატლასისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერთა კოლექტივის მიერ შედგენილი რუკის „ანტარქტიდის ყინულქვეშა რელიეფის“ საფუძველზე მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანაშრომელმა ი. სუეტოვამ გამოიანგარიშა მეექვსე მატერიკის ანტარქტიდის ყინულქვეშა საწოლის ფართობი და საშუალო სიმაღლე, ყინულის ფენის მოცულობა და სისქე.

ოკეანის დონის მიმართ ანტარქტიდის ძირეული საწოლის ზედაპირის საშუალო სიმაღლისა და საშუალო სიღრმის გამოკვლევისათვის, აგრეთვე ყინულის მოცულობისა და სისქის გამოანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნა გრაფიკული ხერხი — პიპსოგრაფიული მრუდის აგება.

მიღებულ მნიშვნელობათა შეჯამების შედეგებმა მოგვცა მატერიკის **მთელი ფართობის ოდენობა — 13.996.000 კვადრატული კილომეტრი. ასეთ სივრცეზე საფრანგეთის ოდენა 25 სახელმწიფო დაეტეოდა.**

მატერიკის ფართობი, შელფის მყინვარების ჩაუთვლელად, აგრეთვე კუნძულები. შელფის ფარგლებში, რომლების სიმაღლე ხუთის მეტრზე მეტია, 12.579.000 კვადრატულ კილომეტრს უდრის. აღმოსავლეთ ანტარქტიდის ყინულქვეშა საწოლის საშუალო სიმაღლეა **რვაას სამოცდაათი** მეტრი. როგორც ვხედავთ, მატერიკი ძალიან მაღლაა აწეული ოკეანის დონის ზემოთ.

ანტარქტიდის ყინულის მოცულობა შელფის მყინვარებთან ერთად უდრის 23.920.000 კუბურ კილომეტრს (შელფის მყინვარებზე, კუნძულების ჩაუთვლელად, მოდის 545.800 კუბური კილომეტრი).

ანტარქტიდისთვის შელფის მყინვარებიანად ყინულის სისქე აღწევს **1710 მეტრს, მატერიკისათვის შელფის მყინვარების ჩაუთვლელად, — 1.860 მეტრს.** წყლის მარაგი, რაც ანტარქტიდაშია დაგროვებული, საკმარისია იმისათვის, რომ **წლის განმავლობაში კვებოს ასი ათასი ისეთი მდინარე, როგორიც უზარმაზარი ვოლგაა.**

,,ეროვნული ბიბლიოთეკა“

,,ლოკომოტივის“ შეხვედრა

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდის მორიგი მატჩები ფეხბურთში. ვინიცაში ერთმანეთს „შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები.

მატჩის შედეგია 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ს. ივანოვა— ფინალის კანდიდატი

დნეპროპეტროვსკში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა. შეჯიბრებამ უნდა გამოაკლინოს ორი უძლიერესი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დასკვნითს ასპარეზობაში.

დნეპროპეტროვსკის, ნახევარფინალში გათამამდა ხუთი ტური. ლიდერობას ინარჩუნებს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი თბილისელი **ს. ივანოვა**, რომელსაც ოთხი ქულა აქვს.

ლიდერმა წაიბორძიკა

ჰავანის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-14 ტურში ლიდერმა **ივანოვმა** დამარცხება იგემა **ხოლმოვთან, სმისლოვმა** მოუგო **ტრინგოს**. ამრიგად, ლიდერს — **სმისლოვს** 11,5 ქულა აქვს, **ივანოვს** — 11 ქულა, **ფიშერს** — 10,5 ქულა.

ორი „ლოკომოტივის“ შეხვედრა

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდის მორიგი მატჩები ფეხბურთში. ვინიცაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები.

მატჩის შედეგია 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

კვლავ გამარჯვება

გუშინ მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა — დედაქალაქის „ტორპედომ“ დამარცხა დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივი 1:0.

დამატებით დროში

გუშინ ლენინგრადში გაიმართა ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „გურია“ თამაშობდა თურქმენეთის თასის მფლობელ — აშხაბადის გუნდთან.

90 წუთში მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს. მატჩის ბედი დამატებით დროში გადაწყდა. გიამორჯვა „გურიამ“ 2:1.

სპორტული ქრონიკა

● **პოდოლსკში** გამოვლინდა მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტები ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ესენი არიან — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, რუმინეთის, პოლონეთისა და ჩდრ-ს გუნდები.

● **დადგინდა**, რომ მსოფლიოს პირველობის მატჩი ასუჯრედიან შაშში ბორბოლევსკსა და ბუბენრაინს შორის დაიწყება თბილისში 30 სექტემბრიდან.

ხელმოგნერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგამმეღლობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო **„სოიუზპეჩატი“** იუწყება, რომ ხელმოწერა 1966 წლისათვის საბჭოთა და უცხოეთის ყველა ჟურნალ-გაზეთზე დაიწყო 1965 წლის პირველ სექტემბერს.

ხელმოწერა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე, აგრეთვე რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე წარმოებს თავისუფლად, სრულიად შეუზღუდავად.

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ჟურნალებზე ხელმოწერა ტარდება დამტკიცებული ტირაჟის ფარგლებში.

გაზეთ **„იზვესტიის“** დამატება **„ნედელია“** და გაზეთ **„სოვეტსკი სპორტის“** დამატება **„ფუტბოლი“**, როგორც წინათ, გავრცელდება მხოლოდ ცალობით.

ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე შეიძლება გააფორმოთ „სოიუზპეჩატის“ ხელმოწერის პუნქტებში, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე კავშირგამმეღლობის გაყოფილებებსა და ფოსტამტში.

ხელმოწერა 1966 წლის იანვრისათვის ყველა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთზე მიიღება ა. წ. 25 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1966 წლის თებერვლისა და მომდევნო თვეებისათვის.

ბაბსოვდეთ, რომ ხელმოწერა ყველგან ფუდება 24 ნოემბერს. იჩქარეთ არ დარჩეთ თქვენთვის სასურველი ჟურნალ-გაზეთების გარეშე.

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ ჩიხაში ეშვიათია ოჯახი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე არ პყავდეთ, ხოლო საშუალო განათლებით ხომ თითქმის ყოველი ახალგაზრდაა. ამ ამბავს თავისი ისტორიული წანამძღვრები აქვს. სოფელ ჩიხაში **1880 წელს** დაარსდა ოთხკლასიანი სკოლა. საყურადღებოა, რომ დაწესებითი განათლება ამ სკოლაში მიიღეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მ. იაკობაშვილმა**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **ს. ტტრამშიოძემ**, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. იაკობაშვილმა**, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ლ. ჩიხლაძემ** და სხვებმა.

ახლა სოფელში საშუალო სკოლაა. ამ დღეებში აქ გაიმართა სკოლის დაარსების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. სკოლის წარსულსა და ახალ ამოცანებზე ილაპარაკა სკოლის დირექტორმა ა. ახვლედიანმა. მან ქების სიტყვები გადასცა 9 მოსწავლეს, ფასიანი საჩუქრები — 42 მოსწავლეს.

85 წლის იუბილარი

ნაპოვნი საამი მილიონი წლისაა

ალმა-ატა, 15 სექტემბერი. (საკდესის კორ.). ყაზახეთის პალეოზოოლოგებმა ეძოვეს მასტოდონტის ჩონჩხი, რომელიც მიწაში სამ მილიონ წელს იყო. ალმა-ატაში ჩამოიტანეს დაახლოებით ორი ათეული მონოლითი ამ ყინულოვანმდელი გიგანტის გაქვავებული ძვლებით, რომლებიც ამოშრობილი მდინარის ესეკ-არკანის კალაპოტში იპოვეს.

— ნაპოვნის პირველი გაცნობა მოწმობს მის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას, — განაცხადა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის პალეობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ბალდირგან კოჟამკულოვამ. — უნიკალურია მასტოდონტის კარგად შემონახული თავის ქალა. როგორც ჩანს, ნაპოვნია ამ ბალახისმჭამელი ცხოველის ყველაზე სრული ჩონჩხი. ეს ცხოველი ძალზე შორეულ წარსულში ბინადრობდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.



ეს საინტერესოა!

რამოდენაა ანტარქტიდა

ანტარქტიდის ატლასისათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერთა კოლექტივის მიერ შედგენილი რუკის „ანტარქტიდის ყინულქვეშა რელიეფის“ საფუძველზე მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანაშრომელმა ი. სუეტოვამ გამოიანგარიშა მეექვსე მატერიკის ანტარქტიდის ყინულქვეშა საწოლის ფართობი და საშუალო სიმაღლე, ყინულის ფენის მოცულობა და სისქე.

ოკეანის დონის მიმართ ანტარქტიდის ძირეული საწოლის ზედაპირის საშუალო სიმაღლისა და საშუალო სიღრმის გამოკვლევისათვის, აგრეთვე ყინულის მოცულობისა და სისქის გამოანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნა გრაფიკული ხერხი — პიპსოგრაფიული მრუდის აგება.

მიღებულ მნიშვნელობათა შეჯამების შედეგებმა მოგვცა მატერიკის **მთელი ფართობის ოდენობა — 13.996.000 კვადრატული კილომეტრი. ასეთ სივრცეზე საფრანგეთის ოდენა 25 სახელმწიფო დაეტეოდა.**

მატერიკის ფართობი, შელფის მყინვარების ჩაუთვლელად, აგრეთვე კუნძულები. შელფის ფარგლებში, რომლების სიმაღლე ხუთის მეტრზე მეტია, 12.579.000 კვადრატულ კილომეტრს უდრის. აღმოსავლეთ ანტარქტიდის ყინულქვეშა საწოლის საშუალო სიმაღლეა **რვაას სამოცდაათი** მეტრი. როგორც ვხედავთ, მატერიკი ძალიან მაღლაა აწეული ოკეანის დონის ზემოთ.

ხელმოგნერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგამმეღლობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო **„სოიუზპეჩატი“** იუწყება, რომ ხელმოწერა 1966 წლისათვის საბჭოთა და უცხოეთის ყველა ჟურნალ-გაზეთზე დაიწყო 1965 წლის პირველ სექტემბერს.

ხელმოწერა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე, აგრეთვე რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებზე წარმოებს თავისუფლად, სრულიად შეუზღუდავად.

რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ჟურნალებზე ხელმოწერა ტარდება დამტკიცებული ტირაჟის ფარგლებში.

გაზეთ **„იზვესტიის“** დამატება **„ნედელია“** და გაზეთ **„სოვეტსკი სპორტის“** დამატება **„ფუტბოლი“**, როგორც წინათ, გავრცელდება მხოლოდ ცალობით.

ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე შეიძლება გააფორმოთ „სოიუზპეჩატის“ ხელმოწერის პუნქტებში, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებში, აგრეთვე კავშირგამმეღლობის გაყოფილებებსა და ფოსტამტში.

ხელმოწერა 1966 წლის იანვრისათვის ყველა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთზე მიიღება ა. წ. 25 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1966 წლის თებერვლისა და მომდევნო თვეებისათვის.

ბაბსოვდეთ, რომ ხელმოწერა ყველგან ფუდება 24 ნოემბერს. იჩქარეთ არ დარჩეთ თქვენთვის სასურველი ჟურნალ-გაზეთების გარეშე.

თბილისის უსხლო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტთან ისწავლება მოსამზადებელი კურსები ინსტიტუტში შემსვლელთათვის

კურსებზე იწარმოებს ყველა ამ საგნის სწავლება, რომლებსაც ინსტიტუტში შემოსვლისას მისაღებ გამოცდებზე აბარებენ.

კურსებზე შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ატესტატის პირი და ცხრა სურათი.

განცხადებები მიიღება უცხო ენათა ინსტიტუტის შენობაში. (თბილისი ი. ჭავჭავაძის პრ. № 45). მეცადინეობა მოსამზადებელ კურსებზე დაიწყება ა. წ. 1 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 1966 წლის 1 აგვისტომდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ კურსების დირექციას.

სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

**კურ